გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 632621513**
თარიღი:**03/08/2026**

,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ',' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 22 მაისის №გ-63.63261427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 22 მაისის №გ-63.63261427 განკარგულებით ასევე მოწონებულია პროექტი სახელწოდებით ქალაქ სამტრედიაში, მდინარე ცხენისწყლიდან კონსტიტუციის ქუჩამდე ხელოვნური სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია - ღირებულებით 200000 ლარი.

დამზადებული და მოწოდებული საპროექტო დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების (02/07/2026) მიხედვით, აღნიშნული პროექტი წარმოდგენილია შეცვლილი სახელწოდებით და ღირებულებით, კერძოდ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდინარე ცხენისწყლიდან დამშრობი არხის ნატანისა და ხე-მცენარეებისაგან გაწმენდა - ღირებულებით 209440 ლარი.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილებით დამტკიცებული ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის'' მე-2 და მე-3 მუხლებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, განიხილა ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 22 მაისის №გ-63.63261427 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1.1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების შესახებ'' სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 22 მაისის №გ-63.63261427 განკარგულებაში.

1.2. ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების შესახებ''

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 22 მაისის №გ-63.63261427 განკარგულებით მოწონებული ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

დანართი №1

ინფორმაცია

,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი 3 პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე	მ/შ, მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ლარში	მ/შ, თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა
1	სამტრედიის მუნიციპალიტეტში მდინარე ცხენისწყლიდან დამშრობი არხის ნატანისა და ხე-მცენარეებისაგან გაწმენდა	209440	166161	43279	2026 წლის აგვისტო-ოქტომბერი	
2	სოფელ ჭაგანში მდინარე ჭურთავაზე სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები (გაგრძელება)	250000	237500	12500	2026 წლის ივლისი-დეკემბერი	
3	სოფელ ბაშში, ე.წ. შუა ბაშში (ინეზა კიკვიძის ჩიხი) სანიაღვრია არხის გამაგრება ქვის ჯებირით	20000	19000	1000	2026 წლის ივლისი-დეკემბერი	

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი